CAUCASUS AUTO IMPORT × Signify

70%-ით შემცირებული ხარჯები და 20-ჯერ ნაკლები დრო დოკუმენტების გაფორმებაზე

ქეისი

ელექტრონული ხელმოწერების დანერვა
CAUCASUS AUTO IMPORT-ში

დეკემბერი 2021 / signify.ge

კომპანია

კავკასიის ავტოიმპორტი ყველაზე მსხვილი ავტოიმპორტიორი კომპანია და უპრეცედენტო ლიდერია კავკასიის რეგიონში. კომპანიამ 17 წლიანი წარმატებული ისტორიის განმავლობაში 200,000-ზე მეტი ავტომობილის იმპორტი და რეალიზაცია განახორციელა. დღეს კომპანია 40-ზე მეტ ფილიალს ფლობს 5 სხვადასხვა ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინასა და ყირგიზეთში.

CAUCASUS AUTO IMPORT

გამოწვევა

კავკასიის ავტოიმპორტში, ყოველთვიურად, ათასობით ხელშეკრულება ფორმდება კომპანიის მომხმარებლებთან და დილერებთან, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მომხმარებლების 80% სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებდა ოფისში მისვლას და დოკუმენტების ხელმოწერას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია რამდენიმე ფილიალს ფლობს საქართველოს მასშტაბით, მაინც რთული იყო მთელი ქვეყნის დაფარვა. ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი ფოსტით იგზავნებოდა მომხმარებლებთან, ხშირად კურიერებს ადრესატები არ ხვდებოდათ მითითებულ მისამართზე ან ხელმომწერი პირი აგვიანებდა დოკუმენტის უკან გამოგზავნას. ეს ყველაფერი ერთის მხრივ დაკავშირებული იყო ფინანსურ ხარჯებთან, ხოლო მეორე მხრივ დროში ძალიან აფერხებდა დაკონტრაქტების პროცესს.



კომპანია ეძებდა გადაწყვეტას, რომელიც მარტივად მოაგვარებდა დოკუმენტის მომზადების, გაგზავნის, ხელმომწერი პირის იდენტიფიცირებისა და დაარქივების პროცესს.

გადაწყვეტა

Signify-ს ელექტრონული ხელმოწერების პლატფორმის საშუალებით მოხდა **დაკონტრაქტების პროცესის სრული ავტომატიზაცია და გაციფრულება**. პროექტი სექტემბერში დაიწყო და რამდენიმე კვირაში გაეშვა.



პროექტის ფარგლებში მოხდა კომპანიის შიდა სისტემის ინტეგრაცია Signify API-სთან. შედეგად, ავტოდილერების დაკონტრაქტების პროცესი იწყება და სრულდება კომპანიის ვებ-გვერდზე ისე, რომ მომხმარებელს არ უწევს გვერდის დატოვება.

მანქანის მყიდველების მხარეს კი - მუშაობს მარტივი პროცესი: მომხმარებელი ელ. ფოსტის საშუალებით იღებს ხელმოწერის მოთხოვნას და შეუძლია ნებისმიერი მოწყობილობით, ნებისმიერი ადგილიდან მოაწეროს ხელი დოკუმენტს. ხელმოწერის დადასტურება ხდება ერთჯერადი SMS კოდის საშუალებით.

ამ ფორმით ხელმოწერილ დოკუმენტს, როგორც საქართველოს, ისე განვითარებული დასავლური ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, აქვს მტკიცებულების ძალა. Signify-ზე კი თითოეული დოკუმენტისთვის ავტომატურად იქმნება "მტკიცებულების რეპორტი", რომელიც შეიცავს ხელმოწერასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, როგორიცაა: ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი, IP მისამართი, დრო და სხვა.

> “Signify დაგვეხმარა არა მხოლოდ ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესის გამარტივებაში, არამედ ამ ხელშეკრულების შენახვაში, დაარქივებასა და მოძიებაში. აქამდე თუ საშუალოდ დღენახევარი სჭირდებოდა კონკრეტული ხელშეკრულების მოძებნას, Signify-ს დახმარებით სულ რამდენიმე წამში ვპოულობთ ნებისმიერ დოკუმენტს”.

ალექსანდრე ვეკუა
კავკასიის ავტოიმპორტის დირექტორი

შედეგი ბიზნესზე

3 თვე
დანერგვიდან

5,000
ხელმოწერილი დოკუმენტი

4,000
ხელმომწერი პირი

70%
შემცირებული ხარჯი

20x
ასწრაფებული პროცესი

Signify-ს დანერგვიდან 3 თვეში ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები დაახლოებით 70%-ით შემცირდა. ამ პერიოდში 4,000-მდე უნიკალურმა ხელმომწერმა მოაწერა ხელი დისტანციურად. ნაცვლად რამდენიმე დღისა, დოკუმენტის ხელმოწერის დრო 37 წუთამდე შემცირდა.

Signify

Signify-სა და ელექტრონული ხელმოწერების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს

signify.ge

© Signify 2021, ყველა უფლება დაცულია